სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N 22

1.ხელშეკრულების დამდები მხარეები

17 მაისი 2016 წელი.

1.1.ერთის მხრივ, სსიპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის N3 საჯარო სკოლა, ს/კ 244970778, შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ვერა ბენიძის სახით, და მეორეს მხრივ შპს „იმერეთის სახანძრო დაცვა" (ს/კ-412 702 302) შემდგომში „მიმწოდებელი", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას საქონლის გამარტივებული შესყიდვის ფორმით სახელმწიფო შესყიდვაზე.

2.ტერმინთა განმარტებები

2.1.წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლში განმარტებულ ტერმინებს.

3.ხელშეკრულების ობიექტი

3.1.მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველისათვის სახანძრო ინვენტარის-ცეცხლმაქრი ბალონების (CPV კოდი -35100000) მიწოდებას.

4.ხელშეკრულების ღირებულება

4.1.ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 255 (ორასორმოცდათხუთმეტი) ლარს.

4.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიწოდების ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

5.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1.შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს შეძენილი საქონლის ღირებულება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურა ან/და მიღება-ჩაბარების აქტი) შემსყიდველისათვის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.მიღება-ჩაბარების წესი

6.1.საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 9.1.პუნქტში მითითებული პირი.

7. საქონლის მიწოდების და ამ საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა.

7.1. საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი ქ. ხონი შამათავას ქუჩა N16.

7.2.ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ბოლო ვადაა 2016 წლის 31 დეკემბერი.

8.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1.შემსყიდველი უფლებამოსილის:

ა)ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

ბ)გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები

8.2.მიმწოდებელი უფლებამოსილია

ა)მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.3.შემსყიდველი ვალდებულია

ა)უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით

ბ)შეასრულოს საგადასახადო აგენტის ფუნქცია, მიმწოდებლის საშემოსავლო გადასახადს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იხდის შემსყიდველი.

8.4.მიმწოდებელი ვალდებულია

ა)მიაწოდოს ნივთობრივად და უფლებრივად უდავო საქონელი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით.

ბ)ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები

გ)სამუშაოს შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს მოცემილ საქონელთან დაკავშირებული უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება, როგორც მიწოდების პროცესში, ასევე საგარანტიო პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე.

დ)დაიცვას უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ნორმები

9.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის N3 საჯარო სკოლის დირექტორი ან მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

9.2ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

9.3.ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.პირგასამტეხლო

10.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით

10.2.იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

11.1.მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

11.2.თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ , მაგრამ არანაკლებ მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3.მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იცვლება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.2.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულებ 10%-ზე მეტი ოდენობით.

12.3.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა, რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

12.4.ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაშ მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა ეცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

12.5.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. მხარეთა პასუხისმგებლობა

13.1.ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და მისი არაჯეროვნად შესრულებისათვის კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობით. ურთიერთშეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესისი შესაბამისად.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრამდე.

16.სხვა პირობები

16.1.ხელშეკრულელება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან

17.მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ-ირაკლი აბაშიძის სახელობის	შპს „იმერეთის სახანძრო დაცვა“
ქალაქ ხონის N 3 საჯარო სკოლა.	ს/კ-412 702 302.
ს/კ-244970778	ა/ა-GE60BG0000000855036300
ხონი რეზო შამათავას ქუჩა N 16.	ბ/კ BAGAGEGE22
	სს „საქართველოს ბანკი“

3.